სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 148

2014 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო პროექტების წარდგენის და განხილვის ვადების, განაცხადის ფორმების და თანდართული დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 ნოემბრის N111 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო პროექტების წარდგენის და განხილვის ვადების, განაცხადის ფორმების და თანდართული დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 ნოემბრის ბრძანების:

ა) მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დოქტორანტის წინა აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირველი სემესტრის დოქტორანტები წარმოადგენენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომს და ნიშნების ფურცელს (GPA-ს გაანგარიშებით - ასეთი არსებობის შემთხვევაში), მე-2 და შემდეგი სემესტრების დოქტორანტები - წინა სემესტრების აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობას) უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული PDF ფაილის სახით;"

ბ) მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დოქტორანტის წინა აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (პირველი სემესტრის დოქტორანტები წარმოადგენენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომს და ნიშნების ფურცელს (GPA-ს გაანგარიშებით - ასეთი არსებობის შემთხვევაში) მე-2 და შემდეგი სემესტრების დოქტორანტები - წინა სემესტრების აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობას თარგმანი, უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული PDF ფაილის სახით;"

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ–გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი